K 1972/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

K1.972
Кч
613.12(47.
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება
და საქართვ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კურორტთა სამმართველო

სპეც-2000
შემოწმებულია

კურორტი ბორჯომი და მისი მიდამოები

K1.972
4

(ექსკურსიის მოკლე თანამგზავრი)

კურორტი ბორჯომი მდებარეობს ტფილისის დასავლეთით 159 კილომეტრის მანძილზე და სადგ. ხაშურიდან 28 კილომეტრის მანძილზე. ბორჯომის გეოგრაფიული მდებარეობა განისაზღვრება ჩრდილო სიგანედის 41° 50', აღმოსავლეთ სიგრძედის 41° 24' და 806 მეტრი სიმაღლე ზღვის დონედან.

ბორჯომის მხარე იმყოფება მდ. მდ. მტკვრის, შავი-წყლის და გუჯარეთის-წყლის ხეობაში.

ბორჯომის მხარე განთქმულია ცნობილი მინერალური წყლებით, შესანიშნავი ჰავით და ხელუხლებელი ტყეებით.

ეს მამული, რომელიც 1917 წლ. რევოლიუციამდე ეკუთვნოდა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს, რევოლიუციის შემდეგ ნაციონალიზაცია-ქმნილად გამოცხადდა, და ამჟამად წარმოადგენს შესანიშნავ სამკურნალო ადგილს, სადაც მრავალი ათასი მშრომელი ისვენებს და პოულობს გაჯანსაღებას.

თითქმის ყოველი მხრიდან ბორჯომის ხეობა გარშემორტყმულია მთებით, რომელთა სიმაღლე 1500—3000 მეტრს აღწევს.

მდ. შავი-წყალი (რუსები მას შეცდომით „ბორჯომკა"-ს უწოდებენ) და გუჯარეთის-წყალი (ამ მდინარესაც შეცდომით „შავ-წყალს" უწოდებენ) წარმოადგენენ მთის ტიპიურ მდინარეებს, რომლებიც სწრაფი დენით მიემართებიან ღრმა და ვიწრო ხეობაში. ორივე მდინარე მტკვარს ერთვის, საიდანაც ტფილისამდე ხე-ტყის ტივები ჩამოაქვთ.

მთის ფერდობები მშვენიერი ტყეებითაა დაბურული, რომლის სივრცე ბორჯომის მამულის ფარგლებში 31.125 ჰექტარს უდრის (28.490 დესიატინა). აქედან 48,8% ხვდება წიწვიანს, ხოლო 51,2% ფოთლიან ტყეს.

ბორჯომის ჰავა ზომიერია, საშუალო წლიური ტემპერატურით 9,1°, რის გამოც იგი ფრიად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰლექით დაავადებულ, სუსტ და სისხლნაკლულ ავადმყოფთათვის. ბორჯომიდან—მაღალი მთებისაკენ ჰავა შესამჩნევად იცვლება და ამიტომ ბორჯომის ხეობის ყველა სააგარაკო ადგილებიდან ბორჯომის ჰავა შედარებით უფრო თბილია. ხეობის დანარჩენი ადგილები (წაღვერი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი) შესანიშნავ სამთო-კლიმატიურ სადგურებს წარმოადგენენ. თუ როგორ იცვლება ხეობის ჰავა ადგილმდებარეობის მიხედვით, თვალნათლივ სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგარაკების დასახელება	სიმაღლე მეტრებში ზღვის დონიდან	წლიური ტემპერატურა (საშუალო)	ნალექების რაოდენობა წლიურად (მილიმეტრ.)	წვიმიანი დღეების რიცხვი წლიურად	ყინვიანი დღეების რიცხვი წლიურად
ბორჯომი. . . .	806	9, 1°	567	130	136
ცემი	1116	7, 3°	596	138	154
ბაკურიანი . . .	1662	4, 7°	812	160	186

უფრო წვიმიან თვეებათ მაისი და ივნისი უნდა ჩაითვალოს. ივლისიდან სექტემბრამდე და აგრეთვე ზამთარში მზიანი დღეების რიცხვი საკმარისად დიდია. თოვლი ბორჯომში და ცემში ძევს 4 თვის, ხოლო ბაკურიანში 5 თვის განმავლობაში.

მდ. შავი-წყლის („ბორჯომკა"-ს) ღრმა და ლამაზ ხეობაში გაშენებულია პარკი, სადაც მიწის ზედაპირზე ამოდის სამკურნალო წყლები: ეკატერინეს წყარო 6.327 ვედრო წყლის დებეტით და ევგენის წყარო—1.680 ვედ. წყლის დებეტით დღეღამეში. ორივე ეს წყარო უკვე დიდი ხანია განთქმულია არა მარტოოდენ საქართველოში და საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიაც.

ბორჯომის ტუტე-ნახშირმჟავა მინერალური წყლები უმთავრესად სასმელი წყლებია. მას აგრეთვე აბაზანების მისაღებად ხმარობენ. აღნიშნული წყალი სამკურნალო მიზნით იხმარება შემდეგი დაავადების დროს:

1. კუჭ-ნაწლავების დაავადების დროს (კატარი, იარა, სიმჟავეების მოჭარბება, დისპეპსია);

2. თირკმლების ჭურჭლის, საშარდე ბუშტის და შარდსაწვეთის კატარის დროს, საშარდე ბუშტის და თირკმლების ქვის დროს;

3. ნაღველას სადენი გზების კატარის დროს, კატარალური სიყვითლისა და ნაღველას ქვის დროს;

4. პადაგრის დროს;

5. თირკმლების დიატეზის, ქონიანი გადაგვარების, შაქრის სნეულების და ქრონიკული რევმატიზმის დროს;

6. ზედა სასუნთქი გზების და სასის ქრონიკული კატარის დროს.

პარკის მთავარი ხეივანი მიჰყვება მდინარის გასწვრივ ზევითკენ. მდინარეზე გადაგდებულია რამოდენიმე ლამაზად ნაკეთები ხიდი. ბორჯომის პლატოდან საგრძნობი სიმაღლიდან მდინარეში ვარდება ჩანჩქერი, რომელიც საუცხოო სანახავია. ერთ-ერთი ბილიკი ბორჯომის პლატოზე ადის (965 მეტრი ზღვის დონედან), რომელიც ლავისებურ საფარს წარმოადგენს. ეს ლავა ჩამოსულია ამჟამად ჩამქრალ ვულკანიდან—ცხრა-წყაროდან. პლატო მდებარეობს მდ. მდ. შავწყალსა და გუჯარეთის-წყალს შუა და სრულებით დაფარულია წიწვიანი ტყით, აქ რამოდენიმე დასასვენებელი სახლია აგებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარკის შესავალთან იმყოფება მინერალური წყლების ქარხანა, სადაც ხდება ბორჯომის წყლის ფილტრაცია (დაწმენდა), ნახშირორჟანგით შეზავება და ბოთლებში ჩასხმა. 1927 წლის განმავლობაში ჩასხმული იყო 7.200.000 ბოთლი წყალი, ხოლო გაიყიდა ამავე წელს თითქმის 3.000.000 მანეთის წყალი.

ქარხანაში შესანიშნავადაა მოწყობილი საგაზო განყოფილება, სადაც მზადდება თხიერი ნახშირორჟანგი, რომლის ნაწილიც ხმარდება საექსპორტო მინერალური წყლების შეზავებას, ხოლო ნაწილი საღდება ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან საქართველოს კურორტთა სამმართველო ყოველმხრივად უწყობს ხელს ბორჯომის კურორტის გაუმჯობესებას და კეთილმოწყობას და გადააქცია კიდეც იგი მშრომელთა გაჯანსაღების ადგილათ. სასახლეები, რომელიც წინად დიდ თავადებს (მეფის საგვარეულოს) ეკუთვნოდა, ახლა გადაკეთებულია სანატორიუმებათ; 1925 წლიდან აგებულია და მუშაობს პოლიკლინიკა ყოველგვარი სნეულების სამკურნალოდ. აქვე იმყოფება მუდმივი საავადმყოფო.

ყოფ. მიხეილის სასახლეში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მოთავსებულია სანატორიუმი № 1 ამხ. მახარაძის სახელობის, ტერაპევტიულ ავადმყოფთათვის. სასახლის გარშემო საუცხოო ბაღია გაშენებული. ყოფ. სერგის სასახლეში, რომელიც მაღალ ადგილზე იმყოფება, მოთავსებულია სანატორიუმი № 2.

პარკის შესავალთან, ყოფ. სასტუმრო „ფირუზი“ს შენობაში, მოთავსებულია ამჟამად საქ. სოცდაზღვევის კომიტეტის დასასვენებელი სახლი.

К1.972/4

ბორჯომიდან სამი კილომეტრის მანძილზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს რენესანსის სტილის მიხედვით აგებული ლიკანის სასახლე, რომელიც ამჟამად პასუხისმგებელი პარტმუშაკების დასასვენებელ სახლს წარმოადგენს. სასახლე თუმცა დიდი არაა, მაგრამ მეტად ლამაზად და თანაც სადათაა აგებული. აშენებულია იგი აკად. ნ. ლ. ბენუას გეგმის მიხედვით.

მინერალური წყლების პარკში იმყოფება ჰიდრო-ელექტროსადგური, რომელიც აწვდის ელექტრონის ენერგიას ბორჯომსა და მის რაიონს. აქვე პარკში მოთავსებულია მეტეოროლოგიური სადგური სეისმიური განყოფილებით.

იმ ადგილას, სადაც მდ. მტკვარს ერთვის გუჯარეთის-წყალი, ანუ—როგორც მას აქ უწოდებენ—„ჩარხის-წყალი“, იმყოფება სადგური ბორჯომი. აქვეა დასახლებული ადგილიც. ესაა ბორჯომის მუშათა უბანი.

მინის ქარხანა, რომელიც ამავე ადგილას მდებარეობს, ამზადებს უმთავრესად ჭურჭელს (ბოთლებს) ბორჯომის მინერალური წყლების გასაზიდად.

ხე-ტყის ქარხანა ამზადებს დიდძალ საამშენებლო მასალას და აგრეთვე ფიცრის ყუთებს ბორჯომის წყლის გასაზიდად. რამოდენიმე ხნის წინად ააგეს აქ ტკეჩის ქარხანა, რომელიც ამზადებს წიფლის ტკეჩს კარაქის გასაზიდად საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში. აქვეა მოთავსებული რკინის გზის დეპოც.

ქალაქში რამოდენიმე სასტუმროა, მრავლად მოიპოვება აგრეთვე როგორც საბჭოთა, ისე კერძო აგარაკები (სახლები); არის აგრეთვე ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი (როგორც საქალაქო, ისე საქალაქთაშორისო), სასადილოები, რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორანები, თეატრი, კინო თეატრი და სხვ. მოწყობილია მუდმივი მიმოსვლა ავტომობილით ახალციხე-აბასთუმანთან.

ბორჯომის მოსახლეობა 1926 წლ. აღწერით 5.243 სულს შეადგენს.

ბორჯომიდან ბაკურიანისაკენ მიდის ბაკურიანის ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა, სიგრძით 40 კილომეტრამდე. ეს გზა გაივლის მდ. გუჯარეთის-წყლის ხეობაში მდებარე აგარაკებზე. არის აგრეთვე გზატკეცილი ახალქალაქისაკენ, რომელიც ბაკურიანზე გაივლის. მე-12 კილომეტრზე გზატკეცილი უხვევს დაბის ჩანჩქერისაკენ და დაბის მონასტრის (დაარსებულია 1175 წ.) ნანგრევებისაკენ.

წაღვერი (1.022 მეტრი სიმაღლე ზღვის დონედან) მდებარეობს მდ. გუჯარეთის-წყლის ორივე ნაპირზე და იმყოფება 15 კილომეტრის მანძილზე ბორჯომიდან. წაღვერი ცნობილია მთიანი ჰავით და მჟავე (რკინიან-ტუტიანი) წყლებით, რომელიც სისხლნაკლულობის და საერთო დაავადების წინააღმდეგ იხმარება. საუკეთესო აგარაკები იმყოფება საქ. სოცდაზღვევის კომიტეტის გამგებლობაში და წარმოადგენს ადგილს მშრომელთა დასასვენებლად. დასასვენებელი სახლები აგებულია უმთავრესად კეჩხობში, რომელიც საუკეთესო ადგილია მთელს წაღვერში. კურორტთა სამმართველოს აქ გახსნილი აქვს პანსიონატი. მრავლად მოიპოვება აგრეთვე კერძო აგარაკები, არის ფოსტის განყოფილება, ბაზარი, ტელეგრაფი და ტელეფონი ბორჯომთან.

წაღვერიდან 4 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს მონასტერი ტიმოთეს-უბანი (დაარს. XII—XIII საუკ.).

ცემი წარმოადგენს მთიან კლიმატიურ სადგურს ჭლექით დაავადებულთათვის. იმყოფება 1.116 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. ცემის ახლომახლო ადგილები დაფარულია ნაძვნარ-ფიჭვნარით. სადგურის მახლობლად იმყოფება რკინისგზელთა სანატორიუმი.

ლიბანი მდებარეობს 1.368 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. რკინის გზათა დამზღვევი სალაროს მიერ აქ აგებულია შესანიშნავი სანატორიუმი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობს. სადგურ ლიბანის მახლობლად იმყოფება ეგრ. წოდ. „მომხიბლავი მოედანი“, საიდანაც ახლომახლო მიდამოები საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს.

პატარა ცემი—ესაა სანატორიუმი 1.370 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. გასაბჭოებამდე სანატორიუმი ეკუთვნოდა ექიმ ვ. ღამბაშიძეს. აქ მოწყობილი იყო საბავშო სანატორიუმი. ამჟამად სანატორიუმი ეკუთვნის საქ. კურორტთა სამმართველოს. სანატორიუმში სამკურნალოდ იგზავნებიან ჭლექით ავადმყოფები (არის 50 საწოლი). ავადმყოფებზე საუცხოოდ მოქმედობს შესანიშნავი მთის ჰავა, დიდი ინსოლიაცია, უქარობა და სრული სიწყნარე (სანატორიუმს გარდა აქ სხვა საცხოვრებელი სახლები არაა).

ბაკურიანი წარმოადგენს მთიან კლიმატიურ სადგურს და მდებარეობს 1.662 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. ამნაირად ბაკურიანი საქართველოს სხვა კურორტებს შორის თავისი სიმაღლით ჩამოუვარდება მხოლოდ ბახმაროს (1.836 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან). ეს უდიდესი აღმართი ბორჯომიდან ბაკურიანამდე იმნაირადაა გამოყენებული, რომ ყოველი კილომეტრის მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილზე რკინის გზა იწევს მაღლა 17 საჟენით. ბაკურიანში ისეთივე მდიდარი მცენარეულობაა და ტყეები, როგორც საერთოდ მთელს ხეობაში. ტყეებთან ერთად აქ გვხვდება საუცხოვო მაღალმთიანი სათიბები და საძოვრები.

ბაკურიანში ცხოვრობენ ქართველები, ოსები, ბერძნები და უკრაინელები (ესენი დაასახლა აქ ვორონცოვმა 1823 წ.). მოსახლეობა უმთავრესად ტყის მრეწველობას და მეჯოგეობას მისდევს. ბაკურიანში არის 147 კომლი და ირიცხება 900 კაცი მცხოვრები. რკინის გზის სადგურთან არსებობს ტელეგრაფი, ფოსტა და ტელეფონი ბორჯომთან. არის აფთიაქიც. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბაკურიანში აქვს საკუთარი აგარაკი, სადაც სტუდენტები ზაფხულობით პროფესორების ხელმძღვანელობით მუშაობენ ტყის მეურნეობის შესასწავლად.

1880 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან მდებარეობს ტფილისის ბოტანიკური ბაღის ბაკურიანის განყოფილება, სადაც გვაქვს კავკასიის მაღალმთიანი ზოლის ცოცხალი გერბარიუმი. აქ სწარმოებს სამეცნიერო მუშაობა, დაკვირვებანი და ცდები.

ბაკურიანიდან 7—8 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფ. **ციხის-ჯვარი**, რომლის მახლობლად იმყოფება ცხელი გოგირდის წყარო (32°). ხსენებულ სოფელში მოწყობილია საქ. კურორტთა სამმართველოს სარძეო ფერმა, რომელიც აწვდის რძეს ბორჯომის ხეობის ყველა სანატორიუმებს. აქვე იმყოფება საქ. მიწადმოქმედების კომისარიატის სარძეო ფერმა.

ყველაზე უფრო მიმზიდველ და მომხიბლავ ადგილს გასეირნებისათვის წარმოადგენს მთა ცხრა-წყარო, რომელიც ზღვის დონედან 2.683 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აქედან საუცხოო სანახაობა იშლება, ვინაიდან იგი გადაყურებს როგორც ბორჯომის ხეობას, ისე კავკასიონის თოვლით დაფარულ ქედს და აგრეთვე ჯავახეთის ვულკანურ ზეგანს მისი ჩამქრალი ვულკანებით და ტაბის-ყურის ტბით. არაჩვეულებრივ თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს მზის ამოსვლა და ჩასვლა.

მთა ცხრა-წყარო ბაკურიანიდან დაახლოვებით 10 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ტურისტები ჩვეულებრივად ღამით ადიან ხოლმე მაღლობზე, ღამეს ათევენ მწვერვალის მახლობლად გზატკეცილზე გზათა სამმართველოს სახლში, ხოლო მწვერვალზე ადიან მზის ამოსვლისას. საუკეთესო დროთ მწვერვალზე ასვლისათვის ითვლება აგვისტოს 1-ლიდან 15-მდე.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა.

1. **ბ. ყავრიშვილი.**—ბორჯომის მხარე (ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა“, 1924 წ., № 5).

2. საქართველოს კურორტების ცნობარი. 1926 წ.

3. **Захаров, С. А.**—Почвенно-географический очерк горы Цхра-Цкаро и других окрестностей Боржома. 1913 г.

4. **Джаншиев, Г.**—„Перл Кавказа“. 1900 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა. ლენინის ქუჩა, № 3.

მთავლიტი № 1372. შეკვეთა № 11022. ტირაჟი 3000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა